

დასაქმების ხელშეწყობა

- დასაწყისშივე პროფესიულ სტუდენტებს/სწავლის მიღების მსურველებს ვაცნობთ პროფესიის დაუფლების შემდგომი დასაქმების პერსპექტივების შესახებ;
- აქტიურად გრძელდება პარტნიორობა კერძო სექტორთან. ამისათვის, კოლეჯი ხელს უწყობს პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობას, თანამშრომლობს საქართველოსა და უცხოეთის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და კერძო ბიზნესის წარმომადგენლებთან;
- სპეციალობებიდან გამომდინარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებულია კომუნიკაციების, მომსახურების, ბიზნესის, მშენებლობის, მრეწველობის, საზოგადოებრივი კვლევების სფეროში არსებულ კომპანიებთან;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ვაკანსიები სისტემატიურად ქვეყნდება კოლეჯის ვებგვერდზე, სოციალურ ქსელში და კოლეჯში ყველასათვის გამოსაჩენ ადგილას. ეს ინფორმაცია ყველასათვის ხელმისაწვდომია და ღიაა. აღნიშნული პროცესი, განსაკუთრებით, მიზანმიმართულია სსსმ-სტუდენტების/კურსდამთავრებულების მისამართით;
- სწავლის პროცესში ხდება Jobs.ge-ზე და მსგავს დასაქმების საიტზე მოძიებული ვაკანსიების გაცნობა ჯგუფებში მიმართულებების მიხედვით;
- იმართება დამსაქმებლების პრეზენტაციები კოლეჯში თავიანთი საქმიანობის შესახებ, ვაკანსიების გაცნობა/შეთავაზება კურსდამთავრებულებისათვის/მიმდინარე სტუდენტებისათვის. მსგავსი შეხვედრების შესახებ ინფორმაცია წინასწარ ანონსირდება;
- წარმოებს კურსდამთავრებულთა ბაზა, გამოკითხვები დასაქმების მაჩვენებლების შესახებ, ხდება მათი მუდმივი განახლება. ამ მიზნით მოიპოვებს ინფორმაციას დასაქმებულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა შესახებ;
- წარმატებული დასაქმებულის შესახებ ვრცელდება ინფორმაცია, იდება კოლეჯის საიტზე და სოც.ქსელში, მზადდება საინფორმაციო/ფოტო მასალები, კლიპები საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, ვიწვევთ „ღია კარის“ დღეებზე და სხვა;
- დახმარებასა და კონსულტაციებს ვუწვევთ პროფესიულ სტუდენტებს კარიერის დაგეგმვის, სამუშაო ადგილების მოძიების, პროფესიით დასაქმებისა და დამსაქმებლებთან ურთიერთობების საკითხებში;
- დამსაქმებლების მიერ დაკავშირებისა და კონკრეტული ვაკანსიის შემოთავაზების შემთხვევაში ხდება ამ ინფორმაციის კურსდამთავრებულებისათვის/მიმდინარე სტუდენტებისათვის გაცნობა ან/და შეხვედრის ორგანიზება (შემდგომში, დამსაქმებლებს, მოთხოვნისამებრ, ან ვაწვდით კურსდამთავრებულთა დასაკავშირებელ ინფ-ციას ან ვუგზავნით ვაკანსიით დაინტერესებული სტუდენტების/კურსდამთავრებულების რეზიუმეებს);
- ზემოაღნიშნულის მიზნით, მიმდინარეობს თანამშრომლობა სახელმწიფო და კერძო სექტორთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით, პროფესიულ კავშირებთან. ეს თანამშრომლობა მოიცავს პარტნიორობას სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით კონსულტაციებისა და დატრენინგების კუთხით, ასევე კოლეჯისათვის სხვადასხვა მასალებისა და მოწყობილობების გადაცემას, ასევე სხვადასხვა ტრენინგების-სემინარების ჩატარებას;
- გამოწვევებზე პასუხის ერთ-ერთი მიდგომაა კოლეჯის აქტიური თანამშრომლობა დამსაქმებლებთან იმ მოთხოვნების ძიებაში და რეალიზაციაში, რომლებიც მაქსიმალური ეფექტურობით გამოამჟღავნებენ პროფესიული სტუდენტის უნარებს და დაეხმარება მათ თვითრეალიზებაში. ამისათვის ხორციელდება: ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება; კერძო სექტორის ჩართულობის დონის გაზრდა სტუდენტის საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფაში; კერძო სექტორისა და სტუდენტების მეტი ჩართულობა კოლეჯის საქმიანობაში; დამსაქმებლებთან, მცირე და მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებთან მოთხოვნადი პროფესიებისა და ვაკანსიების დადგენა;
- წლებია კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ თვითმმართველობის ყველა რგოლთან, გამგეობასა და მუნიციპალიტეტებთან, საჯარო სკოლების ადმინისტრაციებთან და საქალაქო სამსახურებთან. ამის მაგალითია, ჩვენი კურსდამთავრებულების დასაქმების მაგალითები მიმდებარე რაიონის საჯარო სკოლებში;
- მუდმივად ხდება კოლეჯის საქმიანობის რეკლამირება პარტნიორი დამსაქმებლების მოზიდვის მიზნით;
- სხვადასხვა საქმიან შეხვედრებზე წარვადგენთ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პრეზენტაციებს, მაგალითად პროფესიული განათლების ფესტივალები, დასაქმების ფორუმები და ა.შ.;
- ვაწყობთ თემატურ, საპრეზენტაციო და საგამოფენო ღონისძიებებს ან მათში ვმონაწილეობთ სტუდენტების/წარმატებული კურსდამთავრებულების ჩართულობით;
- კოლეჯის საგამოფენო სივრცეში სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა ნამუშევრების გამოფენები მუდმივმოქმედია.